



KA990139987653516

№3791/05

01 / დეკემბერი / 2016 წ.

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელს ბატონ
გიორგი გურასპაშვილს
ამავე მუნიციპალიტეტის გამგეობის
იურიდიული უზრუნველყოფის სამსახურის
უფროსის გიორგი ახალკაცის

მოხსენებითი ბარათი

ბატონო გიორგი,

მოგახსენებთ რომ, 2016 წლის 29 ივნისის N5003436716 წერილით ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ წარმოგვიდგინა საინჟინრო ექსპერტიზის N003756816 დასკვნა, რომელიც ეხება შპს "გიკო"-ს მიერ 2015 წლის 6 ივლისი -5 ოქტომბრის განმავლობაში დაბა სურამში განხორციელებულ ნაპირსამაგრ სამუშაოებს.

გთხოვთ, აღნიშნული საექსპერტო დასკვნა გადააწეროთ ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის საბიუჯეტო სამსახურს გაწეული მომსახურების ასანაზღაურებლად.

დანართი 9 (ცხრა) ფურცლად.

პატივისცემით,

სამსახურის უფროსი

გიორგი ახალკაცი



ლევან სამხარაულის სახელობის
სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
LEVAN SAMKHARAU LI NATIONAL FORENSICS BUREAU

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW

№ 5003436716

29/06/2016 წ.



5003436716

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელს ზნ გიორგი
გურასპაშვილს

ბატონო გიორგი,

ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, თქვენი N07/2896 მომართვის (ბიუროს 2016 წლის 16 მაისის რეგისტრაციის N1003681516) საფუძველზე, გიგზავნით საინჟინრო ექსპერტიზის N003756816 დასკვნას.

დანართი:

ექსპერტის დასკვნა 07 ფურცლად;

პატივისცემით,

გიორგი თვაური
ბიუროს უფროსი

შეგთქმის № 1709
„15“ 07 2016



003756816

ექსპერტის დასკვნა № 003756816

გაფრთხილება

კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედევობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი ს(დეპარტამენტი) უფროსის მიერ განმეორება ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

ექსპერტიზის სახეობა:

დამნიშნავი :

ორგანიზაცია: ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობა

თანამდებობა: გამგებელი

მისამართი:

სახელი და გვარი: გიორგი გურასპაშვილი

საფუძველი: მომართვა

შემსრულებელი ექსპერტები :

გიორგი მარჯანიძე / კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედევობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი (დეპარტამენტი)ს სამშენებლო მექანიკისა და ნაგებობათა სეისმომედევობის სამმართველოს ექსპერტი, სპეციალობით მუშაობის 21 წლის სტაჟით.

ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვები

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის დაკვეთით, შპს „გეკო“-მ 2015 წლის 6 ივლისი-5 ოქტომბრის განმავლობაში განახორციელა დაბა სურამში ნაპირსამაგრი სამუშაოები. 2015 წ. ნოემბერს ნაპირსამაგრმა ნაგებობამ გაბიონის სახით განიცადა რღვევა-ადგილცვალევა 30 გრძ/მ და 12 გრძ/მ-ზე.

გთხოვთ, მოავლინოთ შესაბამისი სპეციალისტი, რომლებიც განახორციელებენ ავარიული მონაკვეთების საინჟინრო კვლევას დაწარმოადგენენ დასკვნას ნაპირსამაგრი ნაგებობების რღვევა-ადგილმდებარეობის მიზეზების შესახებ.

შემოსვლის თარიღი: 16.05.2016წ.

გასვლის თარიღი: 29.06.2016წ

დასკვნა

დაბა სურამში ნაპირსამაგრი ნაგებობის, გაბიონის ორ სხვადასხვა ადგილზე რღვევის მიზეზი იყო შემდეგი:

1. პროექტის შედგენამდე საინჟინრო გეოლოგიური პირობების შეუსწავლბლობა, რის საფუძველზეც უნდა განსაზღვრულიყო გაბიონების საყრდენად გამოსაყენებელი გრუნტის ფსკერიდან დაცილება და შესაბამისად მათი გრუნტში ჩაღრმავება;
2. პირველი პუნქტიდან გამომდინარე რეალურად ძირიდან გაბიონების პირველ წყობას არ ჰქონდათ საკმარისი გრუნტში ჩაღრმავება და რის გამოც მოხდა მათ ქვეშ გრუნტების გამორეცხვა და რღვევა;
3. გაბიონების უხარისხობა, რაც გამოიხატება რიყის ქვების ზადებში არამჭიდროდ ჩალაგებაში და თავისუფალი სივრცეების არსებობაში;
4. ზადის მავთულისა და ნაქსოვის უხარისხობა, რამაც გამოიწვია მათი რღვევა და გაბიონების დაშლა;

შემდგომში იგივე პროცესების განმეორების თავიდან ასაცილებლად, საჭიროა გათვალისწინებულ იქნას დასკვნის კვლევით ნაწილში აღნიშნული მითითებები და დროულად მოხდეს დაშვებული შეცდომების გამოსწორება ნაპირსამაგრი ნაგებობების სხვა ადგილებში.



003756816

ექსპერტის დასკვნა № 003756816

გიორგი მარჯანიძე

გამოკვლევა

შემოსული წერილის საფუძველზე (ბიუროს რეგისტრაციის №1003681516-16/05/2016წ.), 15.06.2016 წ. განხორციელდა გასვლა დაბა სურამში ნაპირსამაგრი ნაგებობის, გაბიონის ორ სხვადასხვა ადგილზე რღვევის გამომწვევი მიზეზების დადგენის თაობაზე.

ადგილზე მისვლისას ვიზუალური დათვალიერებით გაირკვა: მდინარე შუალელზე 2015 წლის ოქტომბრის თვეში შესრულდა ნაპირსამაგრი სამუშაოები. კერძოდ იმ ადგილებში, სადაც ინტენსიურად ხდებოდა მდინარის მიერ ნაპირების ჩამორეცხვა და წალეკვით საშიშროებას უქმნიდა არსებულ სასაფლაოსა და მოსახლეობას (იხ. ფოტო 1;2). ნაპირების გამაგრება გამოიხატება გაბიონების მოწყობით. დათვალიერებამ ცხადყო, რომ თვითონ გაბიონები უხარისხოდაა დამზადებული, რადგან ბადეებში რიყის ქვები მჭიდროდ არაა ჩალაგებული და თავისუფალი ადგილები ქვების თავისუფალი გადაადგილების საშუალებას იძლევა (იხ. ფოტო 3-6). თვითონ ლითონის ბადეებიც უხარისხოა, რადგან იმ უბნებში სადაც მოხდა გაბიონების დაშლა, ბადის მავთულები დაწყვეტილია და ქვების წყობა დარღვეულია (იხ. ფოტო 7;8). ნაპირსამაგრების დაზიანება ძირითადად მოხდა მდინარის მოხვევის ადგილებში, გარე რადიუსზე, სადაც ნაპირების გამორეცხვის ყველაზე დიდი საშიშროება არსებობს და მდინარეს მაქსიმალური დამანგრეველი ძალა სწორედ ამ ადგილებში გააჩნია (იხ. ფოტო 9;10). რაც შეეხება თვითონ გაბიონებით ნაპირსამაგრის მოწყობას: ძირიდან პირველი გაბიონები რომლის სიმაღლე = 0,5 მ-ია, არა მარტო იმ ადგილებში სადაც ისინი გადმობრუნდა, არამედ ნაპირგამაგრების სხვა უბნებშიც, პირდაპირ მდინარის ფსკერზე დაწყობილი და გრუნტში არანაირი ჩაღრმავება არა აქვთ (იხ. ფოტო 11;12). რის გამოც ადვილად შესაძლებელია გაბიონებისათვის ძირის გამორეცხვა და წონასწორობის დარღვევით და სიმძიმის ცენტრის გადაწვევებით, მათი მდინარის მხარეს გადმობრუნება. რაც რეალურად მოხდა კიდევ. გაბიონებზე მდინარის ნაპირების მხრიდან (როგორც ვიზუალურმა დათვალიერებამ ცხადყო) გრუნტის წნევის ზეგავლენა და ამის შედეგად მათი რღვევა გამორიცხულია (იხ. ფოტო 13;14).

ადგილზე პროექტის გაცნობისას, თვითონ პროექტშიც აღმოჩენილი იქნა ხარვეზები. კერძოდ არ იქნა შესწავლილი გრუნტები და პროექტში გეოლოგიური კვლევის შესახებ არაფერია ნახსენები. ძირიდან პირველი გაბიონის სიმაღლე, ისევე როგორც რეალურად, პროექტშიც 0,5 მ-ია და ჩაღრმავება გრუნტში 0,25 მ-ია, რაც გრუნტების შეუსწავლბლობის შემთხვევაში და მდინარის ფსკერზე არსებული ლიოსისებური გრუნტებისათვის არასაკმარისია და სავსებით შესაძლებელია მომხდარიყო გრუნტების გამორეცხვა გაბიონების ქვეშ. როგორც ჩანს ყოველივე ეს პროექტის დამუშავებისას არ იყო გათვალისწინებული.

ყველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ნაპირსამაგრი ნაგებობების რღვევა-ადგილმონაცვლეობის მიზეზი იყო შემდეგი:

1. პროექტის შედგენამდე საინჟინრო გეოლოგიური პირობების შეუსწავლბლობა, რის საფუძველზეც უნდა განსაზღვრულიყო გაბიონების საყრდენად გამოსაყენებელი გრუნტის ფსკერიდან დაცილება და შესაბამისად მათი გრუნტში ჩაღრმავება;
2. პირველი პუნქტიდან გამომდინარე რეალურად ძირიდან გაბიონების პირველ წყობას არ ჰქონდათ საკმარისი გრუნტში ჩაღრმავება და რის გამოც მოხდა მათ ქვეშ გრუნტების გამორეცხვა და რღვევა;
3. გაბიონების უხარისხობა, რაც გამოიხატება რიყის ქვების ბადეებში არამჭიდროდ ჩალაგებაში და თავისუფალი სივრცეების არსებობაში;
4. ბადის მავთულისა და ნაქსოვის უხარისხობა, რამაც გამოიწვია მათი რღვევა და გაბიონების დაშლა;

შემდგომში იგივე პროცესების განმეორების თავიდან ასაცილებლად, საჭიროა გათვალისწინებულ იქნას ზემოთ აღნიშნული მითითებები და დროულად მოხდეს დაშვებული შეცდომების გამოსწორება.

გიორგი მარჯანიძე

გამოყენებული მასალები



003756816

ექსპერტის დასკვნა № 003756816

1. „საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების გამოკვლევისა და სეისმომედეგობის თვალსაზრისით მათი ტექნიკური მდგომარეობის დადგენის ინტრუქცია“. თბილისი 1992 წ.
2. СП-13-102-2003 „Правила обследования несущих строительных конструкций зданий и сооружений“.

ექსპერტის დასკვნა ტექნიკური წესით გადაამოწმა: ზაზა ყიფიანი

ექსპერტის დასკვნა ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა: კახაბერ კახელი

კ.კახელი



003756816

ექსპერტის დასკვნა № 003756816

ფოტოილუსტრაცია



ფოტო 1



ფოტო 2



ფოტო 3



ფოტო 4



003756816

ექსპერტის დასკვნა № 003756816



ფოტო 5



ფოტო 6



ფოტო 7



ფოტო 8



003756816

ექსპერტის დასკვნა № 003756816



ფოტო 9



ფოტო 10



ფოტო 11



ფოტო 12



003756816

ექსპერტის დასკვნა № 003756816



ფოტო 13



ფოტო 14



3003767416

მიღება-ჩაბარების აქტი № 3003767416



რეგიონი	თბილისი	დასრულების თარიღი	29/06/2016
---------	---------	-------------------	------------

დოკუმენტი:			
რეგისტრაციის ნომერი:	1003681516	მომსახურების ტიპი:	ჩვეულებრივი
რეგისტრაციის თარიღი:	16/05/2016	საქმის ნომერი:	
ხელშეკრულების ნომერი:		ხელშეკრულების თარიღი:	
შეთანხმების ნომერი:		შეთანხმების თარიღი:	
დასკვნის ნომერი:	003756816		

ექსპერტიზის დამკვეთი :	
სახელი და გვარი:	გიორგი გურასპაშვილი
პირადი ნომერი:	0000000000
ორგანიზაცია:	ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობა
საიდენტიფიკაციო კოდი:	
თანამდებობა:	გამგებელი
დოკუმენტის შემომტანი:	სანდრო ჩომახიძე

შესრულებული კვლევის კოდი (საქმთავრობის 08.05.2012 N171. დადგენილების მიხედვით)	ობიექტების რაოდენობა	საექსპერტო მომსახურების ტარიფი კვლევის ერთეულზე (დ.დ.გ.-ს ჩათვლით)	თანხა
434. - სხვა სახის ექსპერტიზა	1	200	200
134. - მშენებლობის პროექტის (გარდა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის) ნაწილის ექსპერტიზა (გეოლოგია, კონსტრუქცია და სხვ.)	1	500	500
			ჯამი: 700.00
			საბოლოო ფასი: 700.00

შემსრულებელი ექსპერტ(ებ)ი (სპეციალისტი):	
გიორგი მარჯანიძე	
სამშენებლო მექანიკისა და ნაგებობათა სეისმომდეგობის სამმართველოს ექსპერტი	

სტრუქტურული ქვედანაყოფის უფროსი / პასუხისმგებელი პირი	მიმღები პირი
 (ხელმოწერა)	 (ხელმოწერა)
	გაცემის თარიღი 13/07/2016

საჭიროა ანგარიშ-ფაქტურა